საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გულისაშვილი გივი ვახტანგის ძე

გ. გულისაშვილი.
„ცხენოსნები“ 1982.
ეროვნული გალერეა.
თბილისი

გულისაშვილი გივი ვახტანგის ძე, (2. X. 1913, თბილისი, – 24. II. 1995, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1965). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1938, მ. თოიძის კლასი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1938-იდან. ქმნიდა თანამედროვეობის ამსახველ სურათებს, პორტრეტებსა და პეიზაჟებს: „შემთხვევა საზღვარზე" (1930), „ცხენების ბანაობა" (1938), „მამაცთა შეჯიბრება" (1953), „ცხენების რემის გადარეკვა" (1957), „ქართლი" (1978), „მეფე ერეკლე" (1983) და სხვ. ნაყოფიერად მუშაობდა როგორც წიგნის გრაფიკოსი. გ-ს ეკუთვნის ილუსტრაციები წიგნებისათვის: ე. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა", ი. ევდოშვილის „საბავშვო მოთხრობები", ა. ხახუტაშვილის „გაზაფხულის მერცხლები" და სხვ.